

იდენტობის ჩამოყალიბების თავისებურებები ცხოვრების  
ისტორიებში

ნინო დარჩიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი;2014

## აბსტრაქტი

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს იდენტობის ფორმირების თავისებურებების გამოვლენა ცხოვრების ისტორიებში ქართველ სტუდენტებთან. ჩემ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენე ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარებული კვლევის - „იდენტობის ფორმირება ადრეულ ზრდასრულობაში: ლოკალიზაცია გლობალიზაციის წინააღმდეგ“ ( ჯავახიშვილი & სხირტლაძე, 2013) - ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს ტრანსკრიპტები. მონაცემები თემატური ანალიზის გამოყენებით დავამუშავე კუნ ლუქსის ხუთგანზომილებიანი მოდელის მიხედვით. ინტერვიუების დიდ ნაწილში გამოვლინდა ალტერნატივების ძიება და არჩევანის გაკეთება, შედარებით მცირე რაოდენობით ჩანდა სიღრმისეული ძიება, მხოლოდ ერთ ინტერვიუში გამოიკვეთა არჩევანთან იდენტიფიკაცია. გამუდმებული ძიება განხილულ ინტერვიუებში საერთოდ არ გამოკვეთილა. ასევე, გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს იდენტობის ფორმირების პროცესებზე. ესენია: ქვეყნის სოციო-პოლიტიკური მდგომარეობა, ქვეყანაში სასურველი პროფესიის განვითარების დონე, ოჯახი და ტრადიციები.

საკვანძო ტერმინები: *იდენტობა; იდენტობის ფორმირების პროცესები; სიღრმისეული ინტერვიუ; ცხოვრების ისტორია.*